



ტრენინგ კურსის მასალები

პომერციული დეპარტამენტი

08040160 2014 წელი

## 1. ელექტრომრიცხველუბის დაზღმა და მიმთვაა

### მოთხოვნა შენობა-ნაგებობებისადმი სადაც უნდა განთავსდეს ელექტრომრიცხველები

მრიცხველის ჩვენების სიზუსტეზე, როგორც ხებისმიერ მზომ ხელსაწყოზე, გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები (ტემპერატურა, ჰაერის ტემპერატურა და ჸიმიური შემადგენლობა, ვიბრაციები და სხვა). ამიტომ მრიცხველის განთავსების ადგილი უნდა აქმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს.

შენობა-ნაგებობა (სათავსო) სადაც უნდა განთავსდეს მრიცხველი (მრიცხველთა ჯგუფი) უნდა იყოს მშრალი, თბებოდეს, ჰაერი არ უნდა შეიცავდეს აგრესიულ მინარევებს, ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს  $+40^{\circ}\text{C}$ .

### ელექტრომრიცხველების განთავსება შენობა-ნაგებობებში რომლებიც არ თბებიან

დაიშვება მრიცხველების განთავსება გაუთბობად შენობა-ნაგებობებში (სათავსოებში), გამანაწილებელ მოწყობილობებში, აგრეთვე გარე დაყენების უჯრედებში და კარადებში, მაგრამ ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს მათი სტაციონალური გათბობა ამ მიზნით მრიცხველებს ათავსებენ კარადებში ან ხურავენ გამათბობელებით აღჭურვილი ხუფებით.

განსაკუთრებული კურადღება უნდა მიექცეს ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობას იმ მრიცხველებისათვის რომლებიც აღრიცხავენ გამომუშავებულ ელექტროენერგიას. შენობაში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს  $+15 \div 25^{\circ}\text{C}$  ფარგლებში და კონტროლდებოდეს თერმომეტრის საშუალებით. ასეთი შენობების არ არსებობის შემთხვევაში მრიცხველებს ათავსებენ კარადებში, სადაც ხდება ზემო აღნიშნული ტემპერატურის შენარჩუნება. მოთხოვნები გათბობის თაობაზე არ ვრცელდება იმ მრიცხველებზე, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია უარყოფით ტემპერატურაზე მუშაობისათვის.

### მოთხოვნები ელექტრომრიცხველის მონტაჟისათვის განკუთვნილი კონსტრუქციები-სადმი

მრიცხველები დგებიან კარადებზე, ჰანელებზე, კომპლექსურ გამანაწილებელ მოწყობილობების კამერებში, აედლებზე, ნიშებში. კონსტრუქცია რომელებზედაც მრიცხველები დგებიან უნდა იყოს საქმაოდ ხისტი ანუ არ უნდა იყოს მიღრებითი ვიბრაციის, დეფორმაციის და წანაცვლებების მიმართ.

მრიცხველების დამაგრება დასაშვებია პლასტიკის ფარებზე. დადგმის სიმაღლე 0,8 - 1,7 მ (მომჭერთა კოლოფამდე).

სიბრტყე, რომელზედაც დგება მრიცხველი უნდა იყოს ცალსახად ვერტიკალური. კარადების, ნიშების, ფარების კონსტრუქცია და ზომები უნდა უზრუნველყოფდეს მრიცხველების მომსახურების სიმარტივეს და მოხერხებულობას – მათი შეცვლისას მუშაობისათვის არ ა ჭიდორო – თავისუფალ პირობებს, მომჭერთა კოლოფზე წინა მხრიდან მიღობის საშუალებას.

მრიცხველებინი ჰანელების განლაგებისას კედელზე ჰანელებს შორის მანძილი (დრეჩ) უნდა იყოს არა ნაკლები 150 მმ.

არ არის რეკომენდირებული მრიცხველების განთავსება უჯრედების (მაგ. KCO – 266, KCO – 272 და სხვა) კარებებზე. პრაქტიკაში აჩვენა, რომ ამ შემთხვევაში ამორთველების მუშაობისას რყევების შედეგად ადგილი ქონდა მრიცხველების დაზიანებას.

### ელექტრომრიცხველების დამაგრება

მრიცხველის დამაგრება უნდა მოხდეს ისე, რომ მისი მოხსნა და დადგმა შესაძლებელი იყოს სიბრტყის წინა მხრიდან. ამისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იყოს მოსაბრუნებელი დამჭერი კავი ან გაკეთდეს ბუდე შიდა კუთხევილით ხრახნისათვის.

იმ ადგილებში სადაც შესაძლებელია მრიცხველის მექანიკური დაზიანება ან მათი დაჭუჭყიანება ან გარეშე პირთათვის მისაწვდომობა (გასასვლელები, კიბის უჯრედი და სხვა) მრიცხველებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ჩასაქეტი კარადა ფანჯრებით მრიცხველის ციფერბლატის დონეზე. ანალოგიური კარადები უნდა დადგეს აგრეთვე დაბალ მხარეს აღრიცხვის მოწყობისას (შემყვანზე მომხმარებელთან) მრიცხველების და დენის ტრანსფორმატორების ერთად განთავსების დროს.

დენის ტრანსფორმატორები მაგრდებიან ისეთნაირად, რომ მათი საასაპორტო მონაცემების ტაბულა იყოს წინა მხარეს (შესაძლებელი იყოს მონაცემების წაკითხვა). დენის ტრანსფორმატორების მრიცხველის ქვეშ განლაგების დროს წარმოშობა საშიშროება ინსტრუმენტის დაგარდნის დროს მომსახურე პერსონალის ელექტროტრამგის მიღებისა. ამიტომ მრიცხველსა და დენის ტრანსფორმატორებს შორის მიზანშეწონილია დავაყენოთ პორიზონტალური იზოლირებული ტიპი.

### ელექტრომრიცხველების მიერთება მზომ ტრანსფორმატორებთან

მეორად წრედებს წაეყენება რიგი ტექნიკური მოთხოვნებისა, რომლებიც მთლიანად დაცული უნდა იყოს. მზომ ტრანსფორმატორებთან მრიცხველები ერთდება შემდეგი ტიპის სადენებით: ПВ, АПВ, ЛПРВ, ПР, ЛПР, ПРТО და სხვა, კაბელებით: АВБГ, АВРГ, ВРГ, СРГ, АСРГ, ПРГ და სხვა.

სადენის მინიმალური კვეთი განსაზღვრულია მექანიკური სიმტკიცის პირობით და დაიშვება: დენურ წრედებში სპილენის – 2,5 მმ<sup>2</sup>, ალუმინის – 4 მმ<sup>2</sup>, ძაბვის წრედებში სპილენის – 1,5 მმ<sup>2</sup>, ალუმინის – 2,5 მმ<sup>2</sup>. ოუ ძაბვის დანაკარგის პირობიდან გამომდინარე აუცილებელია დიდი კვეთის სადენი, რომელზედაც გათვლილი არ არის მრიცხველის მომჭერები, მაშინ მის მისაერთებლად უნდა მიერჩიოს ბუნიკები ან გამოყენებული იქნეს სპეციალური გადასასვლელი მომჭერები.

რეზინის იზოლიაციის ძარღვების მქონე განმხოლოვებული კაბელი აუცილებელია დავიცვათ სინათლის და ჰერის ზემოქმედებისაგან, რომელიც აფუქებს (შლის) რეზინას. ამ მიზნისათვის გამოყენება ქლორვინილოვანი მილი. დათვალიერებისათვის მიუდგომელი შეერთებების – გრეხილების, ჭანჭიტური შეერთებების და სხვა გამოყენება დაუშვებელია.

### გადასასვლელი (შუალედური) მომჭერები

მრიცხველების საექსპლოაციო მომსახურება ითვალისწინებს ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა ჩართვის სისტრის შემოწმება, სანიმუშო ხელსაწყოებით დამოწმება, მრიცხველის შეცვლა. წვეულებრივ მრიცხველების დენური წრედები ირთვება გადასასვლელი მომჭერების საშუალებით. აუცილებელია, რომ გადასასვლელი მომჭერების კონსტრუქცია უზრუნველყოფდეს ამ სამუშაოების მოხერხებულად შესრულებას. გადასასვლელი მომჭერები უნდა იძლეოდეს დენური წრედების დამოკლების, თითოეულ ფაზაში დენისა და ძაბვის წრედების გამორთვის, სადენების გამოურთოვად ხელსაწყოების მიერთების შესაძლებლობას. გადასასვლელი მომჭერები უნდა იხურებოდეს გარსაცმით და ილუქებოდეს.

რაც შეეხება მრიცხველებს 0,4 კვ ქსელში აქ სამუშაოები მათ დაყენებაზე და მოსხაზე უნდა შესრულდეს მხოლოდ ყავლა ფაზაზე ძაბვის მოხსნის შემდეგ საკომუტაციო აპარატის გამორთვის ან მცველების მოხსნის გზით. საკომუტაციო აპარატი ან მცველები უნდა მდებარეობდეს მრიცხველიდან არა უმეტეს 10 მ-ისა.

ამ მრიცხველების დენის ტრანსფორმატორები ძალოვან წრედში დგება საკომუტაციო აპარატების მერე სიმძლავრის ნაკადის მიმართულებით. სიმძლავრის დადგებითი მიმართულების შემთხვევაში ისინი დგებიან საკომუტაციო აპარატსა და ხაზს შორის, ხოლო უარყოფითი მიმართულებისას – საკომუტაციო აპარატსა და შემცრებ სალეგებს შორის. ასეთი განლაგება საშუალებას იძლევა აუცილებლობის შემთხვევაში საკომუტ ადვილად მოვახსნათ ძაბვა მრიცხველიდან და მისი ყველა წრედიდან.

### ელექტრომრიცხველების შენახვა და ტრანსპორტირება

მრიცხველები უნდა შევინახოთ შენობაში, სადაც პაერის ტემპერატურა არის +5 დან 40<sup>0</sup> C ფარგლებში და ფარდობითი ტენიანობა არ აღემატება 80%-ს 25<sup>0</sup> C ტემპერატურის დროს. მრიცხველები ინახება ინდივიდუალურად ქარხანა-დამამზადებელის მიერ შეფუთულ მდგომარეობაში სტელაჟებზე ან თაროებზე არა უმეტეს 10 რიგისა სიმაღლეში.

მრიცხველი ისევე როგორც სხვა მზომი ხელსაწყო უნდა მოვარიდოთ დარტყმებს და რყევებს. ამიტომ მრიცხველების ტრანსპორტირება უნდა მოვახდინოთ მხოლოდ სპეციალური შეფუთვით. გადასატანი ყელი საიმედოდ უნდა დამაგრდეს მანქანის სალონში.

### ელექტრომრიცხველის დადგმის თანმიმდევრობა

მრიცხველის დადგმამდე აუცილებელია შევადგინოთ სამონტაჟო სქემა ან შევიტანოთ აუცილებელი ცვლილებები მოცემული მინაერთის მეორად წრედში. დასადგმელად გამზადებული მრიცხველი ექვემდებარება გარეგან დათვალიერებას. მრიცხველი იწმინდება ჭუჭყისა და მტკრისაგან; მოწმდება მრიცხველის ვარგისიანობა მისი ტიპისა და ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით; მოწმდება სახსეგანდარტის დამოწმების ლუქების არსებობა ხრახნებზე, რომლებითაც მაგრდება მრიცხველის კორპუსი.

ლუქებზე აღნიშნული უნდა იყოს სახსეგანდარტის დამოწმების წელი და კვარტალი, აგრეთვე სახსეგანდარტის დამდა. დასაყენებლად გამზადებულ სამფაზა მრიცხველებზე სახსეგანდარტის დამოწმების ლუქების ხანდაზმულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს, ხოლო ცალფაზა მრიცხველებზე - 24 თვეს. მოწმდება კორპუსის და შუშის მთლიანობა, მომჭერთა კოლოფში ყველა ხრახნის არსებობა, მომჭერთა კოლოფის ხუფის დასამაგრებელ ხრახნებზე დასალუქი ნახვრეტების არსებობა და ხუფის შიდა მხარეს სქემის არსებობა.

მრიცხველი უნდა დამაგრდეს სამ ხრახნზე, დასაყენებელი ზომების მიხედვით მათვის წინასწარ მონიშნულ ნახვრეტებში. დაყენების შემდეგ აუცილებელია დავრწმუნდეთ მრიცხველის ვერტიკალურ მდებარეობაში.

მრიცხველების მომქერებზე მიერთებულ სადენებს მიზანშეწონილია დაგუტოვოთ რეზერვი 60 – 70 მმ. ეს მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ გაზომვები ელექტრომზომი მარწუხებით და გადავაადგილოთ სადენები, თუ სქემა არასწორადაა აკრებილი. სადენებს ბოლოებზე უკეთდება ნიშანსადები მჭდე.

თოთოვეული სადენი ჩატყირება მომქერთა კოლოფის ბუქსში ხრახნით. პირველად ეჭირება ზედა ხრახნი. სადენის მსუბუქად მოქაჩვით ვრწმუნდებით მასში, რომ ის გადაჭერილია. შემდგომ ვუჭიროთ ქვემოთა ხრახნის. თუ მონტაჟი ხორციელდება მრავალძარღვა სადენებით, მაშინ მათი ბოლოები უნად მოვაკალაოთ.

მრიცხველების და დენის ტრანსფორმატორების დამიწება (დანულება) უნდა შესრულდეს მათდამი წაყენებული მოთხოვნათა შესაბამისად (ПУЭ). ამასთან 1 კვ მაბვამდე მრიცხველებიდან და დენის ტრანსფორმატორებიდან გამომავალი ნულოვანი და დამცავი სადენები უახლოეს მომქერთა შემკრებებამდე უნდა იყოს სპილენძის.

### პირდაპირი ჩართვის ელექტრომრიცხველების მონტაჟი

პირდაპირი ჩართვის მრიცხველების მონტაჟის დროს აუცილებელია დაგივცავი ქვემოთ ხელმოწერილი წესი. თუ მრიცხველის ნომინალური დენი არის 20 ა და მეტი, მაშინ მისა-ერთებელი სადენები კონტაქტის სამიერობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა აღვჭურვოთ ბუნიკებით. სადენი ბუნიკზე უნდა მიერჩილოს საქმაოდ მძლავრი სარჩილავით.

ელექტროგაევანილობის მონტაჟის დროს პირდაპირი ჩართვის მრიცხველებზე მისაერთებლად მრიცხველთან აუცილებელია დაგზოვოთ სადენის ბოლოები არა ნაკლები 120 მმ სიგრძის.

მრიცხველმდე ნულოვანი სადენის იზოლიაციას ან გარსს 100 მმ სიგრძეზე უნდა პქონდეს განსხვავებული შეფერილობა. მრიცხველზე ალუმინის სადენების მიერთებისას აუცილებელია დაგივცავი შემდეგი წესები: სადენის საკონტაქტო ზედაპირი იწმინდება ფოლადის ჯაგრისით ან ქლიბით და იფარება ნეიტრალური ტექნიკური გაზელინის ფენით.

მიერთებამდე სადენიდან იწმინდება დაჭუქიყიანებული გაზელინი და მშინვა მის მაგივრად ხელახლა იფარება ვაზელინის თხელი ფენით; ხრახნების გადაჭერა ხორციელდება ორ ეტაპად. ჯერ ბიძგის გარეშე უნდა გადაუჭიროთ მაქსიმალურად დასაშვები ძალით, ხოლო შემდგომ გადაჭერილს ძალიან ვასუსტებთ (მაგრამ არა მთლიანად), რის შემდეგაც ვახორციელებთ მეორე და საბოლოო გადაჭერას ნომინალური ძალით; აღრიცხვის წრედებს ემსახურება მხოლოდ მასზე მიმაგრებული პერსონალი.

იმისათვის, რომ მასთან გარეშე პირების მისაწვდომობა აღვაკეთოთ აღრიცხვის წრედები უნდა დაილუქოს. დალუქვას ექვემდებარება მრიცხველის მომქერთა ხუფი და მისი მომქერთა შემკრები, გადასასვლელი კოლოფი ან გამოსაცდელი ბლოკი. თუ საანგარიშო მრიცხველი უნდა დადგეს მომხმარებლის ქვესადგურში, მაშინ ილუქება აგრეთვე ძაბვის ტრანსფორმატორის კამერა, გამთიშველის ამძრავის სახელური და მომქერთა შემკრები.

### რეკომენდაციები ელექტრომრიცხველების მონტაჟის დროს

1. მონტაჟის დროს განსაკუთრებით მნიოშვნელოვანია მისაერთებელი სადენების კონტაქტების სამიერო უზრუნველყოფა. მათი საიმედოობისათვის აუცილებელია მომქერთა ხრახნების ორ ეტაპად გადაჭერა. ჯერ ბიძგის გარეშე უნდა გადაუჭიროთ მაქსიმალურად დასაშვები ძალით, ხოლო შემდგომ გადაჭერილს ვასუსტებთ ძალიან (მაგრამ არა მთლიანად), რის შემდეგაც ვახორციელებთ მეორე და საბოლოო გადაჭერას ნომინალური ძალით.
2. მრიცხველის დრეკადი (მრავალძარღვა) სპილენძის სადენით მიერთებისას, აუცილებელია წინასწარ მოვახდინოთ მისი მოკალვა კალა-ტყვიის შენადნობის საშუალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სამედო კონტაქტის უზრუნველყოფა ძნელი იქნება.
3. მრიცხველის დაყენებიდან ექვსი თვის მერე რეკომენდირებულია მომქერთა რიგზე კონტაქტების გადაჭერა.
4. ელექტრომრიცხველების სწორად მუშაობისათვის საერთობინიან ელექტროფარებში აუცილებელია:
  - ა. მრიცხველი მივაერთოდ სწორი სქემით (პასპორტში თანდართული სქემის მიხედვით);
  - ბ. მრიცხველის მეოთხე მომქერიდან გამომავალი ნულოვანი მუშა სადენი მთლიანად უნდა განვაცალეკორ ელექტროფარის კორპუსზე მიერთებისაგან (ამასთან ნულოვანი მომქერთა ხუნდი უნდა იყოს იზოლიატორზე);
  - გ. ყურადღება მივაქციოთ მომხმარებელთან (სახლში) ერთმანეთში არეული ხომ არ არის ნულოვანი მუშა და დამცავი სადენები (ანუ ნულოვანი მუშა – მომქერთა ხუნდზე იზოლიატორით, ხოლო დამცავი - ელექტროფარის კორპუსზე);

ყველა ამ პუნქტის შესრულების შემდეგ ელექტრონული მრიცხველი აღრიცხავს სწორად.

ბოლო ორი მოთხოვნის გაუთვალისწინებლობა არ აისახება ინდუქციური მრიცხველების და ერთი ფაზით აღრიცხვის მქონე მრიცხველების მუშაობაზე, ხოლო აღრიცხვის მქონე ახალი ელექტრონული მრიცხველები ამაზე მყისიერად რეაგირებენ და იწყებენ აღრიცხვის ან მეზობლის ელექტროდუმელის ან კიდევ მოხეტიალე დენების, რაც იწვევს მომხმარებლის უქმაყოფილებას და გრცელდება ხმები, რომ „ელექტრონული მრიცხველები აღრიცხავენ მუტს“.

## 2. აღრიცხვის პლანების შემოწმების ინსტრუმენტი

### 2.1 ელექტროენერგიის აღრიცხვის საშუალებების გამზომი კომპლექსის (გამზომი კომპლექსი) დათვალიერება-შემოწმება

#### დათვალიერების მიზანი

დავრწმუნდეთ აღრიცხვის წრედების გამართულობაში და გარეგანი ზემოქმედებისაგან დაცულობაში.

მინაერთზე აღრიცხვის გამზომი კომპლექსის დათვალიერება - შემოწმებას ვიწყებთ დამშვების მიერ სამუშაოებზე დაშვების და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით (იხ. თვე 6).

შემოწმების თანმიმდევრობა:

#### ვიზუალური – გარეგანი დათვალიერება

ვიზუალური დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს აღრიცხვის გამზომი კომპლექსის შემადგენელი მოწყობილობების (ძაბვისა და დენის ტრანსფორმატორი, მრიცხველი, მრიცხველის კარადა, ძაბვის და დენის შემკრები კარადები, ავტომატური ამომრთველები, მცველები) მდგომარეობა, დადებული ლუქების დაცულობა, ამოვიწეროთ მათი მონაცემები და შევიტანოთ აქტში. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ვწყვეტო შემოწმებას და ვაფორმებთ შესაბამის აქტს;

#### ელექტროენერგიის მრიცხველის დათვალიერება – შემოწმება

მრიცხველის დათვალიერების – შემოწმების დროს უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები:

- ვიზუალური - გარეგანი დათვალიერება;
- შემოწმების შედეგების გაფორმება.

ვიზუალური - გარეგანი დათვალიერება – შემოწმების დროს უნდა დადგინდეს შესამოწმებელი მრიცხველის შესაბამისობა შემდეგ პირობებთან:

კორპუსის ზედაპირის საღებავი უნდა იყოს დამატმაყოფილებელ მდგომარეობაში, კორპუსს არ უნდა პქონდეს მექანიკური დაზიანებები (ბზარები, ამოტეხილები, ნაკაწრები და სხვა);

დასათვალიერებელი ფანჯრის მინა მკვიდრად უნდა იყოს დამაგრებული და არ უნდა პქონდეს ნაპრალები;

მრიცხველზე მარტინება უნდა იყოს მკაფიო და შესაბამებოდეს სტანდარტის (ГОСТ 26035 – 83) მოთხოვნებს;

მომჭერთა კოლოფს არ უნდა პქონდეს დაზიანებები და კარგად უნდა იყოს დამაგრებული;

მომჭერთა კოლოფს უნდა პქონდეს ყველა ხრახნი და ხრახნების კუთხვილები უნდა იყოს წესიერ – გამართულ მდგომარეობაში;

მთვლელი მექანიზმის დაფას არ უნდა პქონდეს თვალით შესამჩნევი გადახრა;

გორგოლაჭიანი მთვლელი მექანიზმის ციფრები არ უნდა გადიოდნენ ფანჯრის საზღვრებს გარეთ თავისი სიმაღლის 20%-ზე მეტად გარდა ბოლო მარჯვენა (უმცროსი თანრიგი) გორგოლაჭისა.

მრიცხველზე უნდა შემოწმდეს როგორც საქარხნო ასევე შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დადებული ლუქების დაცულობა – მდგომარეობა და ამოვიწეროთ მათი მონაცემები.

უნდა ამოვიწეროთ მრიცხველის ჩვენება, მისი საპასპორტო მონაცემები (ტიპი, საქარხნო ნომერი, მზომი ელექტრების რაოდენობა, სიზუსტის კლასი, გასახომი ენერგიის სახეობა, ნომინალური - მაქსიმალური დენი და ძაბვა, გადაცემის რიცხვი, გამოშვების წელი) და ბოლო დამოწმების თარიღი.

განვსაზღვროთ მრიცხველი პირდაპირი ჩართვისაა თუ ჩართულია დენის ტრანსფორმატორების საშუალებით;

იმ შემთხვევაში, თუ მრიცხველი ჩართულია დენის ტრანსფორმატორების გამოყენებით, უნდა დავადგინოთ:

- დენის ტრანსფორმატორების რაოდენობა – ცალი, საქარხნო ნომერი, სიზუსტის კლასი, ნომინალური დატვირთვა, ტრანსფორმაციის კოეფიციენტი;

- ძაბვის ტრანსფორმატორის საპასპორტო მონაცემები: საქარხო ნომერი, სიზუსტის კლასი, ნომინალური დატვირთვა;
- მრიცხველი ჩართულია თუ არა ელექტროენერგიის კომუნიკაციული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემაში (ალფა ცენტრში);
- დგას თუ არა აღრიცხვის წრედში (0,4 კგ) ავტომატური ამომრთველი (დენმკვეთი) მრიცხველამდე და მრიცხველის მერკ.

შემოწმების შედეგები უნდა შევიტანოთ აქტში.

## 2.2 გამზომი კომპლექსის მიმდინარე შემოწმება

### შემოწმების მიზანი

დავრწმუნდეთ აღრიცხვის წრედების გამართულობაში, გარეგანი ზემოქმედებებისაგან დაცულობაში და ელექტროენერგიის სრულად აღრიცხვაში.

მინაერთზე აღრიცხვის გამზომი კომპლექსის შემოწმებას ვიწყებთ დამშვების მიერ სამუშაოებზე დაშვების და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით (იხ. თავი 6);

შემოწმებას კონკრეტულ მინაერთზე ვაწარმოებთ ყველა დაინტერესებული მხარის (აბონენტი, ენერგოკომპანია, „ესკო“, „სსე“) წარმომადგენლების თანდასწრებით.

შემოწმების თანმიმდევრობა:

### ვიზუალური – გარეგანი დათვალიერება

ვიზუალური დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს აღრიცხვის გამზომი კომპლექსის შემადგენელი მოწყობილობების (ძაბვის და დენის ტრანსფორმატორი, მრიცხველი, მრიცხველის კარადა, შემკრები კარადები, ავტომატური ამომრთველები, მცველები) მდგომარეობა, დადებული ლუქების დაცულობა, ამოვიწეროთ მათ მონაცემები და შევიტანოთ აქტში. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ვწყვეტო შემოწმებას და ვაფორმებთ შესაბამის აქტს;

### ელექტროენერგიის მრიცხველის შემოწმება

მრიცხველის შემოწმებების დროს უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები:

- ვიზუალური - გარეგანი დათვალიერება;
- მიერთების სქემის შემოწმება;
- შემოწმების შედეგების გაფორმება.

ვიზუალური - გარეგანი დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს შესამოწმებელი მრიცხველის შესაბამისობა შემდეგ პირობებთან:

კორპუსის ზედაპირის საღებავი უნდა იყოს დამატებული დამატებული მდგომარეობაში, კორპუსის არ უნდა პქონდეს მექანიკური დაზიანებები (ბზარები, ამოტებილები, ნაკაწრები და სხვა);

დასათვალიერებელი ფანჯრის მინა მკვიდრად უნდა იყოს დამაგრებული და არ უნდა პქონდეს ნაპრალები;

მრიცხველზე მარკირება უნდა იყოს მკაფიო და შესაბამებოდეს სტანდარტის (ГОСТ 26035 - 83) მოთხოვნებს;

მომჭერთა კოლოფს არ უნდა პქონდეს დაზიანებები და კარგად უნდა იყოს დამაგრებული;

მომჭერთა კოლოფს უნდა პქონდეს ყველა ხრახნი და ხრახნების კუთხილები უნდა იყოს წესიერ – გამართულ მდგომარეობაში;

მთვლელი მექანიზმის დაფას არ უნდა პქონდეს თვალით შესამჩნევი გადახრა;

გორგოლაჭიანი მთვლელი მექანიზმის ციფრები არ უნდა გადიოდნენ ფანჯრის საზღვრებს გარეთ თავისი სიმაღლის 20% -ზე მეტად გარდა ბოლო მარჯვენა (უმცროსი თანრიგი) გორგოლაჭიანისა.

მრიცხველზე უნდა შემოწმდეს როგორც საქარხო ასევე შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დადებული ლუქების დაცულობა - მდგომარეობა და ამოვიწეროთ მათი მონაცემები.

უნდა ამოვიწეროთ მრიცხველის ჩვენება, მის საპასპორტო მონაცემები (ტიპი, საქარხო ნომერი, მზომი ელემენტების რაოდენობა, სიზუსტის კლასი, გასაზომი ენერგიის სახეობა, ნომინალური – მაქსიმალური დენი და ძაბვა, გადაცემის რიცხვი, გამოშვების წელი) და ბოლო დამოწმების თარიღი.

განვსაზღვროთ მრიცხველი პირდაპირი ჩართვისაა თუ ჩართულია დენის ტრანსფორმატორების საშუალებით;

უნდა დავადგინოთ:

- დენის ტრანსფორმატორების რაოდენობა – ცალი, საქარხო ნომერი, სიზუსტის კლასი, ნომინალური დატვირთვა, გამოშვების ტრანსფორმატორის კოეფიციენტი;

- ძაბვის ტრანსფორმატორის საპასპორტო მონაცემები: საქართველო, სიზუსტის კლასი, ნომინალური დატვირთვა;
- მრიცხველი ჩართულია თუ არა ელექტროენერგიის კომუნიკაციული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემაში (ალფა ცენტრში);
- დგას თუ არა აღრიცხვის წრედში (0,4 კგ) ავტომატური ამომრთველი (დენმაკვეთი) მრიცხველამდე და მრიცხველის მერკე.

### **მრიცხველის მიერთების სქემის შემოწმება**

მრიცხველის ჩართვის სისტორეზე დასკვნის გამოტანა შეიძლება თუ მის მომზერებზე გადაღებული ძაბვებისა და დენების კეტორული დიაგრამა სწორია. მაშასადამე, მრიცხველის ჩართვის სისტორის შემოწმება მრიცავს ორ ეტაპს: ძაბვის წრედების შემოწმებას და დენური წრედების შემოწმებას.

ძაბვის წრედების შემოწმება მდგომარეობს ფაზების მარკირების სისტორის და ძაბვის წრედების გამართულობის დადგენაში.

შემოწმება ხორციელდება მუშა ძაბვის დროს. იზომება ყველა ხაზური და ფაზური ძაბვები „მიწის“ მიმართ. 1000 კ მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების გამართულ წრედებში ყველა ხაზური ძაბვა ტოლია და შეადგენს 100 - 110 ვ. ხოლო ფაზასა და „მიწას“ შორის ძაბვის სიდიდის მნიშვნელობა დამოკიდებულია ძაბვის ტრანსფორმატორის ჩართვის სქემაზე და მეორადი წრედების შესრულებაზე. თუ გამოყენებულია სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი დამიწებული „B“ ფაზით, მაშინ ამ ფაზის ძაბვა „მიწის“ მიმართ იქნება ნულის ტოლი. ხოლო სხვა ფაზებზე კი ხაზური ძაბვის ტოლი, ხოლო თუ სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორებში დამიწებულია მეორადი გრაგნილის ნეიტრალი, მაშინ ყველა ფაზის ძაბვა „მიწასთან“ მიმართებაში შეადგენს დაახლოებით  $58 \text{ კ} (100/\sqrt{3})$ .

ვიდებთ ძაბვების კეტორულ დიაგრამას ძაბვების მიმდევრობა უნდა იყოს პირდაპირი (A B C).

დენური წრედების შემოწმებისათვის საჭიროა გადაღებული იყოს დენების კეტორული დიაგრამა, ანუ განისაზღვროს დენების კეტორების მნიშვნელობა და მდებარეობა ძაბვების კეტორების მიმართ. შემდეგ ისინი დარღება მეორადი დენის კეტორების მოსალოდნელ განლაგებას, რომელიც განისაზღვრება პირველადი და მეორედი დაგვირთვის მახასიათებლით, აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების მიმართულებით და მნიშვნელობით.

გამანაწილებელ ქსელებში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის მიმართულებები შეიძლება იცვლებოდეს.

კეტორული დიაგრამის გადაღების შემდეგ უნდა მოვახდინოთ მისი აგება და ანალიზი. ციფრულ ელექტრონულ მრიცხველებზე კეტორული დიაგრამის გადაღება ხდება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

შემოწმების შედეგები უნდა შევიტანოთ აქტში.

### **2.3 გამზომი კომპლექსის პირველადი და პერიოდული შემოწმება**

#### **შემოწმების მიზანი**

დავრწმუნდეთ აღრიცხვის კვანძის გამართულობაში, გარეგანი ზემოქმედებებისაგან დაცულობაში და აღრიცხვის მოწყობილობების სრულად ფუნქციონირებაში.

მინაერთზე გამზომი კომპლექსის შემოწმებას ვიწყებთ დამშვების მიერ სამუშაოებზე დაშვების და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით (იხ. თავი 6).

შემოწმებას კონკრეტულ მინაერთზე ვაწარმოებთ ყველა დაინტერესებული მხარის (აბონენტი, ენერგოკომპანია, „ესკო“, „სსე“) წარმომადგენლების თანდასწრებით.

შემოწმების თანმიმდევრობა:

#### **ვიზუალური – გარეგანი დათვალიერება**

ვიზუალური დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს გამზომი კომპლექსის შემაღებელი მოწყობილობების (ძაბვის და დენის ტრანსფორმატორი, მრიცხველი, მრიცხველის კარადა, შემკრები კარადები, ავტომატური ამომრთველები, მცველები) ვარგისიანობა და მათი შესაბამისობა ნორმატიულ-ტექნიკურ მოთხოვნებთან მიმართებაში.

უნდა შემოწმდეს ყველა კვანძზე დადგებული ლუქების დაცულობის მდგომარეობა, ამოვიწეროთ მათი მონაცემები და შევიტანოთ აქტში. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ვწყვეტ შემოწმებას და ვაფორმებთ შესაბამის აქტს;

#### **გამზომი კომპლექსის ცალკეული კვანძების შემოწმება**

ელექტროენერგიის მრიცხველის შემოწმება. მრიცხველის შემოწმებების დროს უნდა შესრულდეს შემდეგი ოპერაციები:

- ვიზუალური – გარეგანი დათვალიერება;
- მიერთების სქემის შემოწმება;
- ცდომილების შემოწმება;
- მთვლელი მექანიზმის შემოწმება;
- შემოწმების შედეგების გაფორმება.

ვიზუალური – გარეგანი დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს შესაბამისობა შემდეგ პირობებთან:

კორაცხის ზედაპირის საღებავი უნდა იყოს დამატავოფილებელ მდგომარეობაში, კორპუსს არ უნდა ჰქონდეს მექანიკური დაზიანებები (ბზარები, ამოტეხილები, ნაკაწრები და სხვა);

დასათვალიერებელი ფანჯრის მინა მკვიდრად უნდა იყოს დამაგრებული და არ უნდა ჰქონდეს ნაპრალები;

მრიცხველზე მარკირება უნდა იყოს მკაფიო და შესაბამებოდეს სტანდარტის (ГОСТ 26035 – 83) მოთხოვებს;

მომჭერთა კოლოფს არ უნდა ჰქონდეს დაზიანებები და კარგად უნდა იყოს დამაგრებული;

მომჭერთა კოლოფს უნდა ჰქონდეს ყველა ხრახნი და ხრახნების კუთხევილები უნდა იყოს წესიერ – გამართულ მდგომარეობაში;

მთვლელი მექანიზმის დაფას არ უნდა ჰქონდეს თვალით შესამჩნევი გადახრა;

გორგოლაჭიანი მთვლელი მექანიზმის ციფრები არ უნდა გადიოდნენ ფანჯრის საზღვრებს გარეთ თავისი სიმაღლის 20%-ზე მეტად გარდა ბოლო მარჯვენა (უმცროსი თანრიგი) გორგოლაჭისა.

მრიცხველზე უნდა შემოწმდეს როგორც საქარხნო, ასევე შესაბამისი ორგანიზაციების მიერ დადგებული ლუქების დაცულობა – მდგომარეობა და ამოვიწეროთ მათი მონაცემები.

უნდა ამოვიწეროთ მრიცხველის ჩვენება, მისი საპასპორტო მონაცემები (ტიპი, საქარხნო ნომერი, მზომი ელემენტების რაოდენობა, სიზუსტის კლასი, გასაზომი ენერგიის სახეობა, ნომინალური – მაქსიმალური დენი და ძაბვა, გადაცემის რიცხვი, გამოშვების წელი) და ბოლო დამოწმების თარიღი.

განვსაზღვროთ მრიცხველი პირდაპირი ჩართვისაა, თუ ჩართულია დენის ტრანსფორმატორების საშუალებით.

უნდა დაგადგინოთ:

- დენის ტრანსფორმატორების რაოდენობა – ცალი, საქარხნო ნომერი, სიზუსტის კლასი, ნომინალური დატვირთვა, ტრანსფორმაციის კოეფიციენტი.
- ძაბვის ტრანსფორმატორის საპასპორტო მონაცემები: საქარხნო ნომერი, სიზუსტის კლასი; ნომინალური დატვირთვა, ტრანსფორმაციის კოეფიციენტი.
- მრიცხველი ჩართულია თუ არა ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემაში (ალფა ცენტრში).
- რამდენი შუალედური კლემა აღრიცხვის წრედში, ცალი.
- დგას თუ არა აღრიცხვის წრედში გამოსაცედელი კოლოფები (შუალედურ მომჭერთა შემკრები).
- დგას თუ არა აღრიცხვის წრედში (0,4 კვ) ავტომატური ამომრთველი (დენმკეთი) მრიცხველამდე და მრიცხველის მერე.

### მრიცხველის მიერთების სქემის შემოწმება

მრიცხველის ჩართვის სისტორეზე დასკვნის გამოტანა შეიძლება თუ მის მომჭერებზე გადაღებული ძაბვების და დენების ვექტორული დიაგრამა სწორია. მაშასადამე მრიცხველის ჩართვის სისტორის შემოწმება მოიცავს ორ ეტაპს: ძაბვის წრედების შემოწმებას და დენური წრედების შემოწმებას.

ძაბვის წრედების შემოწმება მდგომარეობს ფაზების მარკირების სისტორის და ძაბვის წრედების გამართულობის დადგენაში.

შემოწმება ხორციელდება მუშა ძაბვის დროს. იზომება ყველა ხაზური და ფაზური ძაბვები „მიწის“ მიმართ. 1000 კ მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების გამართულ წრედებში ყველა ხაზური ძაბვა ტოლია და შეადგენს 100 – 110 კ, ხოლო ფაზასა და „მიწას“ ხორის ძაბვის სიდიდის მნიშვნელობა დამოკიდებულია ძაბვის ტრანსფორმატორის ჩართვის სქემაზე და მეორადი წრედების შესრულებაზე თუ, გამოყენებულია სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი დამიწებული „B“ ფაზით, მაშინ ამ ფაზის ძაბვა „მიწის“ მიმართ იქნება

ნულის ტოლი. ხოლო, სხვა ფაზებზე კი ხაზური ძაბვის ტოიდ. იმ შემთხვევაში, თუ სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორებში დამიწებულია მეორადი გრაგნილის ნეიტრალი, მაშინ ყველა ფაზის ძაბვა „მიწასთან“ მიმართებაში შეადგენს დაახლოებით  $58 \text{ გ} (100/\sqrt{3})$ .

ვიღებთ ძაბვების ვექტორულ დიაგრამას ძაბვების მიმდევრობა უნდა იყოს პირდაპირი (A B C).

დენური წრედების შემოწმებისათვის საჭიროა გადაღებული იყოს დენების ვექტორული დიაგრამა, ანუ განისაზღვროს დენების ვექტორების მნიშვნელობა და მდებარეობა ძაბვების ვექტორების მიმართ. შემდგებ, ისინი დარდება მეორადი დენის ვექტორების მოსალოდნელ განლაგებას, რომელიც განისაზღვრება პირველადი დატვირთვის მახასიათებლით, აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების მიმართულებით და მნიშვნელობით.

გამანაწილებელ ქსელებში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის მიმართულებები შეიძლება იცვლებოდეს.

ვექტორული დიაგრამის გადაღების შემდგებ უნდა მოვახდინოთ მისი აგება და ანალიზი. ციფრულ ელექტრონულ მრიცხველებზე ვექტორული დიაგრამის გადაღება ხდება კომპიუტერული პროგრამების საშუალებით.

### მრიცხველის ცდომილების შემოწმება

მრიცხველის შემოწმება ადგილზე ყოველთვის ხდება მზომი ტრანსფორმატორების გარეშე. ამისათვის სანიმუშო ხელსაწყოები უნდა ჩაირთოს ძაბვისა და დენის ტრანსფორმატორების მეორად წრედებში. შემოწმება შეიძლება განვახორციელოდ ვატმეტრისა და წამსაზომის მეთოდით ან სანიმუშო მრიცხველთან შედარების მეთოდით.

სანიმუშო მრიცხველის გამოყენება ყოველთვის უმჯობესია, რადგანაც ამ დროს დატვირთვის ცვალებადობა არ აისახება შემოწმების შედეგებზე. მაგრამ სანიმუშო მრიცხველის უქონლობის გამო თითქმის ყოველთვის გამოიყენება ვატმეტრისა და წამსაზომის მეთოდი, რომლის დროსაც ვატმეტრისა და წამსაზომის ჩვენებების მიხედვით უნდა განვახოვროთ ელექტროენერგიის რეალური მნიშვნელობა, რომელიც იწვევს მრიცხველის დისკოს ბრუნვას მოცემული ბრუნვათა რაოდენობით ან მრიცხველის მანათობელი ინდიკატორზე გამოიყოს N მოცემული იმპულსების რაოდენობას და შევადაროთ მრიცხველის მიერ გაზომილი ენერგიის მნიშვნელობას (მრიცხველის ნომინალური მუდმივას გათვალისწინებით).

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დატვირთვა იცვლება უმნიშვნელოდ ( $\pm 5\%$ ). დატვირთვა არ უნდა იყოს  $10\%-ზე$  ნაკლები ნომინალურისა. თუ ეს პირობები შეუსრულებადია, მაშინ მრიცხველი უნდა მოიხსნას და შემოწმდეს ლაბორატორიულ პირობებში.

ვატმეტრისა და წამსაზომის მეთოდით მრიცხველების შემოწმებისას, ფარდობითი ცდომილების სისტემატიური მდგრელი  $\Delta C$ , % უნდა ვიანგარიშოთ ფორმულებით:

$$\Delta C = (t_6 - t)/t \times 100$$

სადაც,  $t_6$  – არის ნორმალური დრო (წმ) მოცემული მრიცხველისათვის, ანუ წამების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც სწორად მომუშავე მრიცხველის დისკომ უნდა გააკეთოს N ბრუნი ან მანათობელი ინდიკატორზე გამოიყოს N იმპულსი მოცემული დატვირთვის დროს;

$t$  – არის წამსაზომის ჩვენება (წმ);

ნორმალური დრო (წმ) უნდა ვიანგარიშოთ ფორმულებით:

$$t_6 = \frac{3600 \times 1000 \times N}{P A}$$

სადაც,  $P$  – არის დატვირთვის სიმძლავრე, ვტ (ვარ);

$A$  – არის მრიცხველის გადაცემის რიცხვი, რომელიც მითითებულია მრიცხველის დაფაზე, დისკოს ბრუნვათა რიცხვი ან იმპულსების რაოდენობა  $1\text{კვტ} \times სო$  (კვარ  $\times$  სო) დროს.

ფარდობითი ცდომილების სისტემატიური მდგრელი  $\Delta C$  უნდა განისაზღვროს, როგორც საშუალო არითმეტიკული, არა უმცირესი სამი გაზომვისა.

### მრიცხველის მოვლელი მექანიზმის შემოწმება

ზემოთ აღწერილი გაზომვები რეალურად განსაზღვრავენ დისკოს ბრუნვათა ან იმპულსების რაოდენობის სიხშირეს. მაგრამ შეიძლება გვერდებს შემთხვევები, როდესაც ბრუნვათა ან იმპულსების სიხშირე დარეგულირებულია სწორად, მაგრამ მიუხედავად ამისა მრიცხველის ჩვენებები არ არის სწორი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მთვლელი მექანიზმის მექანიკური გაუმართაობა. მთვლელი მექანიზმის სრულად შემოწმება ადგილზე საკმაოდ ძნელია. ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ლაბორატორიულ პირობებში. მუშა მრიცხველზე მთვლელი მექანიზმის გადაცემის რიცხვი შეიძლება შევამოწმოთ შემდეგი ხერხით. ოუ მრიცხველის გადაცემის რიცხვი არის 1 კვტ x სთ = 1600 დისკოს ბრუნვა ან იმპულსის რაოდენობა და ბოლო ციფრის ფანჯარა გამოყოფილია მძიმით, მაშინ დისკოს 1600 ბრუნვის ან იმპულსის რაოდენობის დროს მექანიზმის ბოლო გორგოლაჭმა უნდა გააკეთოს ერთი სრული ბრუნვა, ხოლო დისკოს 160 ბრუნვის ან იმპულსის რაოდენობის დროს ეს გორგოლაჭმი უნდა გადადგილდეს ერთი ციფრით.

მთვლელი მექანიზმის მაჩვენებლის უმცროსი თანრიგის ერთი ერთეულით ცვლილების დრო განისაზღვრება ფორმულით:

$$t_p = (6 \times 10^{1-\theta}) / P_{\max}$$

სადაც,  $t_p$  – არის მაჩვენებლის უმცროსი თანრიგის ერთი ერთეულით ცვლილების დრო (მარჯვნივ პირველი გორგოლაჭმის), წუთი;

$P_{\max}$  – არის სიმძლავრე მაქსიმალური დატვირთვის დროს, კვტ, კვარ;

$\theta$  – არის დოლის თანრიგების რაოდენობა მძიმის მარჯვნივ.

შემოწმების შედეგები უნდა შევიტანოთ აქტში.

### დენის ტრანსფორმატორების შემოწმება

დენის ტრანსფორმატორების შემოწმების თანმიმდევრობა:

1. ტრანსფორმატორის და მისი წრედების ვიზუალური – გარებანი დათვალიერება;
2. ტრანსფორმატორის გრაგნილების იზოლაცის წინაღობის შემოწმება;
3. პირველადი და მეორადი გამოყვანების პოლარობების შემოწმება;
4. ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილების წინაღობის შემოწმება;
5. ვოლტ-ამპერული მახასიათებლების გადაღება;
6. ტრანსფორმატორის ცდომილების შემოწმება;
7. მეორადი დატვირთვის შემოწმება;
8. შემოწმების შედეგების გაფორმება.

ვიზუალური დათვალიერების დროს უნდა დაგადგინოთ შესამოწმებელი დენის ტრანსფორმატორის შესაბამისობა შემდეგ მოთხოვნებთან:

- პირველადი და მეორადი გრაგნილების საკონტაქტო მომჰქერები უნდა იყოს წესიერ, გამართულ მდგომარეობაში და ჰქონდეთ მარკირება;
- ტრანსფორმატორის ცალკეული ნაწილები მტკიცედ უნდა იყოს დამაგრებული;
- დამიწების ჭანჭიკს, ოუ იგი კონსტრუქციულად გათვალისწინებულია, უნდა ჰქონდეს აღნიშვნა სტანდარტის (ГОСТ 21130) შესაბამისად;
- ტრანსფორმატორის კორპუსს არ უნდა ჰქონდეს დეფექტები, რომელიც გამოიწვევს მისი მაიზოლირებელი გარემოს შემავსებელი სითხის ან გაზის გაუონვას;
- კონსტრუქციულად თუ გათვალისწინებულია დამამოკლებელი ზღუდარა ის უნდა იყოს წესიერ – გამართულ მდგომარეობაში;
- ტრანსფორმატორის მარკირების ტაბულაზე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული მისი საპასპორტო მონაცემები.

### იზოლაციის წინაღობის შემოწმება

დენის ტრანსფორმატორების, რომლებიც განკუთვნილია 30 კ-ზე მაღალი ძაბვის წრედებში ექსპლუატაციისათვის, გრაგნილების იზოლაციის წინაღობას ამოწმებენ 1000 ვ მეგაომმეტრის საშუალებით თითოეული გრაგნილისათვის კორპუსსა და ერთად შეერთებულ გრაგნილების საკონტაქტო გამოყვანებს შერის – ყველა კლასის ძაბვის დენის ტრანსფორმატორის მეორადი და შეალედური გრაგნილებისათვის და 1 კვ-ზე დაბალი ძაბვის კლასის დენის ტრანსფორმატორების პირველადი გრაგნილებისათვის, ხოლო 2500 ვ მეგაომმეტრით შემოწმებას ახორციელებენ 1 კვ და მაღალი კლასის ძაბვის დენის ტრანსფორმატორების პირველადი გრაგნილებისათვის.

დენის ტრანსფორმატორის გრაგნილების იზოლიაციის შემოწმების შემდგომ უნდა მოვახდინოთ მისი განმაგნიტება. შემოწმდეს გრაგნილების პოლარობა, გაიზომოს გრაგნილების წინაღობა მუდმივი დენის მიმართ, გადაღებული იქნას ვოლტ-ამპერული მახასიათებელი და გაიზომოს მეორადი დატვირთვა.

დენის ტრანსფორმატორის დენური და კუთხური ცდომილებები უნდა განისაზღვროს დიფერენციალური (ნულოვანი) მეორობით ან „Omicron“-ის ფირმის დენის ტრანსფორმატორების მახასიათებლების მზომი (CT Analyzer) ხელსაწყოთ.

დენის ტრანსფორმატორების მახასიათებლების მზომი ხელსაწყო აგრეთვე საშუალებას იძლევა მოვახდინოთ: დენის ტრანსფორმატორის განმაგნიტება, გრაგნილების პოლარობის განსაზღვრა, გრაგნილების წინაღობის გაზომვა, ვოლტ-ამპერული მახასიათებლის გადაღება და მეორადი დატვირთვის გაზომვა.

შემოწმების შედეგები უნდა შევიტანოთ გაზომვების ოქმში.

#### ძაბვის ტრანსფორმატორის შემოწმება

ძაბვის ტრანსფორმატორების შემოწმების თანმიმდევრობა:

1. ტრანსფორმატორის და მისი წრედების ვიზუალური – გარეგანი დათვალიერება;
2. ტრანსფორმატორის გამომყვანების პოლარობის და გრაგნილების შეერთებების ჯგუფების შემოწმება;
3. ტრანსფორმატორის დატვირთვის სიმძლავრის განსაზღვრა;
4. ტრანსფორმატორის გრაგნილების იზოლაციის წინაღობის შემოწმება;
5. ტრანსფორმატორის ცდომილების შემოწმება;
6. შემოწმების შედეგების გაფორმება.

ვიზუალური დათვალიერების დროს უნდა დავადგინოთ ძაბვის ტრანსფორმატორის შესაბამისობა შემდეგ მოთხოვნებთან:

- პირველადი და მეორადი გრაგნილების საკონტაქტო მომქერები უნდა იყოს წესიერ, გამართულ მდგომარეობაში და პქონდეთ მარკირება სტანდარტის ГОСТ 1983 – 2001 შესაბამისად;
- ტრანსფორმატორი აღჭურვილი უნდა იყოს მარკირების ტაბულით სტანდარტის ГОСТ 1983 – 2001 შესაბამისად;
- ტრანსფორმატორი მტკიცედ უნდა იყოს დამაგრებული;
- დამიწების მომქერს (თუ ის გათვალისწინებულია შესამოწმებელი ტრანსფორმატორის ნორმატიულ – ტექნიკურ დოკუმენტით) უნდა პქონდეს შესაბამისი აღნიშვნა;
- ტრანსფორმატორის კორპუსს არ უნდა პქონდეს დეფექტები;
- შემყვანის იზოლაციორებს არ უნდა პქონდეთ დაზიანებები, ანატენი და ნაპრალები.

ძაბვის ტრანსფორმატორის გამომყვანების პოლარობის და გრაგნილების შეერთებების ჯგუფების შემოწმება

ტრანსფორმატორის გამომყვანების პოლარობის და გრაგნილების შეერთებების ჯგუფების შემოწმება ხორციელდება მუდმივი დენის მეორით სტანდარტის ГОСТ 3484.1-5-88 შესაბამისად.

#### ძაბვის ტრანსფორმატორის რეალური დატვირთვის სიმძლავრის განსაზღვრა

დატვირთვის რეალური სიმძლავრის განსაზღვრა ხდება ტრანსფორმატორის მეორად წრედში ძაბვისა და დენის გაზომვის მეორით.

#### ძაბვის ტრანსფორმატორის გრაგნილების იზოლაციის წინაღობის გაზომვა

ძაბვის ტრანსფორმატორის პირველადი გრაგნილების იზოლაციის წინაღობა უნდა გაიზომოს მეგაომმეტრით 2500 გ-ზე. ხოლო მეორადი გრაგნილების იზოლაციის წინაღობა მეგაომმეტრით 1000 გ;

#### ძაბვის ტრანსფორმატორის ცდომილების განსაზღვრა

ტრანსფორმატორის ცდომილების განსაზღვრა ხორციელდება რეალური დატვირთვის დროს ეტალონურ ტრანსფორმატორთან შედარების გზით.

შემოწმების შედეგები უნდა შევიტანოთ გაზომვების ოქმში.

### 3. აღრიცხვის პანელის შემოწმების მეთოდიკა


#### 3.1 სამუშაო მრიცხველის ჩართვის სისტემის შემოწმება მოქმედ მინაერთზე

## 1000 გ მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებში

შემოწმების მიზანია, მოცემულ მინაერთზე მოხმარებული ელექტროენერგიის სრულად აღრიცხვის შემოწმება.

მრიცხველის ჩართვის სისტორეზე დასკვნის გამოტანა შეიძლება, თუ გადადგბული ვექტორული დიაგრამა მის მომჭერებზე სწორია (ნახ. 1). ამისათვის აუცილებელ და საჭმარის პირობას წარმოადგენს ჯერ ერთი ძაბვის ტრანსფორმატორის მეორადი წრედების სწორი შესრულება და მათზე მრიცხველის პარალელური გრაგნილების მიერთება, მეორე დენის ტრანსფორმატორის მეორადი წრედების სწორი შესრულება და მათზე მრიცხველის მიმდევრობითი გრაგნილების მიერთება.

მაშასადამე მრიცხველის ჩართვის სისტორის შემოწმება მოიცავს ორ ეტაპს: ძაბვის წრედების შემოწმებას და დენური წრედების (ვექტორული დიაგრამების გადაღება) შემოწმებას.



ნახ. 1. სამფაზა ორ ელემენტიანი აქტიური ენერგიის მრიცხველის ვექტორული დიაგრამა ინდუქციური დატვირთვის დროს

### ძაბვის ტრანსფორმატორის მეორადი წრედების შემოწმება

შემოწმება მდგომარეობს ფაზების მარკირების სისტორის და ძაბვის წრედების გამართულობის დადგენაში.

შემოწმება ხორციელდება მუშა ძაბვის დროს. იზომება ყველა ხაზური და ფაზური ძაბვები „მიწის“ მიმართ. გამართულ წრედებში ყველა ხაზური ძაბვა ტოლია და შეადგენს 100-110ვ, ხოლო ფაზასა და „მიწას“ შერის ძაბვის სიდიდის მნიშვნელობა დამოკიდებულია ძაბვის ტრანსფორმატორის ჩართვის სქემაზე და მეორადი წრედების შესრულებაზე. თუ ორი ფაზის გრაფიკის მეორადი წრედებულია და სამკუთხედად, ან გამოყენებულია სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი დამიწებული „B“ ფაზით, მაშინ ამ ფაზის ძაბვა „მიწის“ მიმართ იქნება ნულის ტოლი. ხოლო სხვა ფაზებზე კი ხაზური ძაბვის ტოლი. თუ სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორებში დამიწებულია მეორადი გრაგნილის ნეიტრალი, მაშინ ყველა ფაზის ძაბვა „მიწასთან“ მიმართებაში შეადგენს დაახლოებით  $58\sqrt{3}$  (100/ $\sqrt{3}$ ).

ფაზების დასახელების სისტორის შემოწმება უნდა დაგიწყოთ „B“ ფაზის მოძებნით, რომელიც მიერთებული უნდა იყოს მრიცხველის შუა მომჭერზე. პირველ შემთხვევაში იგი შეიძლება მარტივად მოვცებნით „მიწის“ მიმართ ძაბვების გაზომვის შედეგად. მეორე შემთხვევაში კი უნდა მოვიქცეოთ შემდეგნაირად: ძაბვის ტრანსფორმატორი გამოვრთოთ ორივე მხრიდან, ძაბვის არ არსებობის შემოწმების და უსაფრთხოების ტექნიკის წესების ყველა ღონისძიებების გაზრდების შემდგომ მაღალი ძაბვის მხარეს უნდა ამოვილოთ შუა ფაზის მცველი. მცირე ხნით ჩავთოთ ძაბვის ტრანსფორმატორი მუშა რეჟიმში და გავზომოთ მეორადი ხაზური ძაბვები. გამორთულ ფაზაზე ხაზური ძაბვა იქნება შემცირებული (დაახლოებით ორჯერ), მაშინ როდესაც გამოუერთველ ფაზებზე ძაბვები არ იცვლება. მოძებნილი ფაზა უნდა მიუერთოთ მრიცხველის ძაბვური წრედის შუა მომჭერს, ხოლო ორი სხვა გვერდით მომჭერებს მარკირების მიხედვით.


### დენის ტრანსფორმატორების მეორადი წრედების შემოწმება

შემოწმებისათვის საჭიროა გადაღებული იყოს დენების ვექტორული დიაგრამა, ანუ განისაზღვროს დენების ვექტორების მნიშვნელობა და მდებარეობა ძაბვების ვექტორების მიმართ, რომლებიც გადიან მრიცხველის მიმდევრობით გრაგნილებში. შემდეგ ისინი დარდება მეორადი დენის ვექტორების

მოსალოდნელ განლაგებას, რომელიც განისაზღვრება პირველადი დატვირთვის მახასიათებლით, აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების მიმართულებით და შნიშვნელობით.

როგორ უნდა განლაგდეს დენის ვექტორები დიაგრამაზე?

დავყოთ მოსაზღლობა, რომელიც წარმოადგენს დენის ვექტორების განლაგების არეალს მოსახელე ფაზურ ძაბვასთან ოთხ კვადრანტად (ნახ. 2).



ნახ. 2. დენის ფაზის ვექტორის მდებარეობა კოორდინატა  
სისტემაში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის  
სხვადასხვა მიმართულების დროს

თუ მოცემულ მინაერთზე აქტიური სიმძლავრის მიმართულება არ იცვლება (გამანაწილებელი ქსელები, ელექტრომომარაგების ხაზები) აქტიური ენერგიის მრიცხველს ყოველთვის მიეწოდება დადებითი აქტიური სიმძლავრე. რეაქტიული სიმძლავრე შეიძლება იყოს როგორც დადგებითი ასევე უაროფითი. პირველ შემთხვევაში (ინდუქციური დატვირთვა) დენის ვექტორი განთავსდება პირველ კვადრანტში, ანუ მოსახელე ფაზური ძაბვის ვექტორს ჩამორჩება  $0^\circ < \phi < 90^\circ$ -ით. მეორე შემთხვევაში (ტევადური დატვირთვისას) იგი განთავსდება მეორე კვადრანტში ე.ო. წინ უსწრებს მოსახელე ფაზური ძაბვის ვექტორს.


გამანაწილებელ ქსელებში აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის მიმართულებები შეიძლება იცვლებოდეს.

ვექტორული დიაგრამის გადაღების შემდეგ უნდა მოვახდინოთ მისი აგება და ანალიზი.

განვიხილოთ მაგალითი №1. აქტიური ენერგიის მრიცხელი მიერთებულია ტევადური ხასიათის დატვირთვის სამსაღენიან წრედში. ვოლტამპერატურული გადაღებული ვექტორული დიაგრამებისათვის გვაძვს შემდგენ მონაცემები:

$$\begin{aligned} \text{აღნიშვნა} &----- A, C, 0(B); \\ \text{დენი, } \alpha &----- 3; 3; 3; \\ \text{კუთხე, გრად.} &----- L15, C105, L135. \end{aligned}$$

ხაზური ძაბვის  $\dot{U}_{AB}$  ვექტორიდან გადავზომოთ საათის ისრის მიმართულებით  $15^\circ$  და ავაგოთ  $I_A$  დენის ვექტორი (ნახ. 3)




УAB ვექტორიდან საათის ისრის საწინააღმდეგოდ გადავზომოთ  $105^\circ$  და ავაგოთ ს დენის ვექტორი, საათის ისრის მიმართულებით  $135^\circ$  და ავაგოთ ს დენის ვექტორი.

ს ვექტორი ფაზისა და მნიშვნელობების მიხევთ ტოლია ს (თუ ს დადგებით მიმართულებად მივიღებთ ტრანსფორმატორიდან მრიცხველისაკენ მიმართულებას, რაც უნდა განვახორციელოთ ვექტორული დიაგრამის გადაღების დროს). ვექტორული დიაგრამაზე დენები წინ უსწრებენ შესაბამის ფაზურ ძაბვებს  $\varphi = 15^\circ$ -ით. შედეგად მრიცხველის მიერთების სქემა სწორია.

განვიხილოთ მაგალითი №2. აქტიური ენერგიის მრიცხველი მიერთებულია ინდუქციური ხასიათის დატვირთვაზე სამ სადენიან წრედში. ვოლტამპერფაზომეტრით გადაღებული ვექტორული დიაგრამებისათვის გვაქვს შემდეგი მონაცემები:

$$\begin{aligned} \text{აღნიშვნა} &----- A, C, 0(B); \\ \text{დენი, } \alpha &----- 2,5; 2,5; 2,5; \\ \text{კუთხე, გრად.} &----- L55, L175, C65. \end{aligned}$$

ავაგოთ ვექტორული დიაგრამა (ნახ. 4)



ნახ. 4.

ვექტორი სამორჩება უA ვექტორს  $25^\circ$ -ით. ასეთივე კუთხით უC-ს ჩამორჩება ს და არა ს ვექტორი. ამავე დროს ს ვექტორის მდებარეობა უცვლელია, რომელიც უნდა ეკავოს ს ვექტორს. აქედან ვასკვნით, რომ სადენი რომელიც მოდის დენის ტრანსფორმატორის „C“ ფაზიდან არეულია ნულოვან სადენში.

დენის ტრანსფორმატორის ნულოვანი სადენის მოსაქებნად შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი მეთოდი: სამ სადენს, რომლებიც გამოდიან დენის ტრანსფორმატორებიდან ამოკლებენ გამოსაცდელ მომჰქერებზე.

გადასატანი ამპერმეტრის ერთი გამომყვანი მიწდება, ხოლო მეორე მორიგეობით უერთდება თითოეულ მომჰქერს. ამპერმეტრის მიერთების შემდეგ ზღუდარი ამ მომჰქერებიდან ყოველთვის ისხნება, ხოლო გაზომვის შემდეგ ისევ დგება. დენის არსებობა მიგვანიშნებს, რომ მოცემულ მომჰქერზე მიერთებულია ფაზური სადენი, დენის არ არსებობა კი მიგვანიშნებს ნულოვან სადენზე.

შეცდომის გამოვლენის შემდეგ დენურ წრედებს ვამოკლებთ და ვახორციელებთ აუცილებელ გადაადგილებებს მარკირების შეცვლით. კესნით დენური წრედების დამოკლებას და თავიდან ვიღებთ ვექტორულ დიაგრამას.

განვიხილოთ დენურ წრედებში (დენის ტრანსფორმატორების არასრულ გარსკვლავად შეერთების დროს) გაუმართაობები, რომლებიც უფრო ხშირად გვხდება:

- დენურ წრედებში არეულია მარკირება, შედეგად დენის ტრანსფორმატორიდან მომავალმა სადენებმა ადგილები შეიცვალეს. ამ დროს დენების სისტემა რჩება სიმეტრიული. ფაზური ან ნულოვანი სადენის კუთვნილების აღმოჩენა ხდება ვექტორული დიაგრამის გადაღების შედეგად (მაგ. №2).
- ნულოვანი სადენის წყვეტა. ნიშნები: ნულოვან სადენში დენი არ გვაქვს, ფაზურ სადენებში დენები მცირება და არ შეესაბამება დატვირთვას, ვექტორული დიაგრამა გაურკვეველია.
- ფაზური სადენის ან დენის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის წყვეტა. ნიშნები: დენი ერთ-ერთ ფაზაში ნულის ტოლია, მეორე ფაზის ვექტორი დაძრულია  $180^\circ$ -ით ს თან მიმართებაში. ამ დროს მეორად წრედებში შეიძლება გაჩნდეს საშიში ძაბვა, ხოლო დენის ტრანსფორმატორი დაზიანდეს

- მაგნიტური გამტარის გადახურების გამო. ამიტომ მინაერთი დაუყონებლივ უნდა იყოს გამორთული დენის ტრანსფორმატორის და მისი წრედების შესამოწმებლად;
- დენის ტრანსფორმატორის დამოკლება. ნიშნები: დენები ფაზურ და ნულოვან სადენებში განსხვავებულია. დენების ჯამი ფაზურ და ნულოვან სადენში ტოლია მეორე ფაზის დენის;
  - ერთ-ერთი დენის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილი ჩართულია შებრუნებული პოლარობით. ნიშნები: დენი ნულოვან სადენში 1,73-ჯერ მეტია ფაზურ სადენში არსებულთან, კუთხე ۱۸ და ۱۵ გეგტორებს შორის შეადგენს 60°.
  - განვიხილოთ დენურ წრედებში (დენის ტრანსფორმატორების გარსკვლავად შეერთების დროს) გაუმართობები, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება:
  - არეულია მარკირება დენურ წრედებში, შედეგად ადგილები შეიცვალეს სადენებმა, რომლებიც მოდიან დენის ტრანსფორმატორებიდან. ამ დროს დენების სისტემა ოქება სიმეტრიული. ფაზური სადენის კუთვნილების აღმოჩენა ხორციელდება ვექტორული დიაგრამის გადაღების შედეგად;
  - ნულოვანი სადენის წყვეტა. ნიშნები: ნულოვან სადენში დენი არ გვაქვს (უნდა გვქონდეს მცირე უბალანსობის დენი), ვექტორული დიაგრამა ამ დროს ნორმალურია;
  - ფაზური სადენის ან დენის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილის წყვეტა. ნიშნები: დენი ერთ-ერთ ფაზაში ნულის ტოლია, ხოლო ნულოვან სადენში დენი ფაზური დენის ტოლია. ۱۰ გეგტორი, როცა  $I_c = 0$ -ს, ۱۸ გეგტორთან მიმართებაში დაძრულია  $120^0$ -ით და იკავებს  $1\frac{1}{2}$  გეგტორის ადგილს. ამ დროს მეორად წრედებში შეიძლება გაჩნდეს საშიში ძაბვა, ხოლო დენის ტრანსფორმატორი დაზიანდეს მაგნიტური გამტარის გადახურების გამო. ამიტომ მინაერთი დაუყონებლივ უნდა იყოს გამორთული დენის ტრანსფორმატორის და მისი წრედების შესამოწმებლად;
  - დენის ტრანსფორმატორის ერთ-ერთი ფაზის დამოკლება. ნიშნები: დენები ფაზურ სადენებში განსხვავებულია. დენების ჯამი ფაზურ და ნულოვან სადენში ტოლია სხვა ფაზების დენის სიდიდეებისა;
  - ერთ - ერთი დენის ტრანსფორმატორის მეორადი გრაგნილი ჩართულია შებრუნებული პოლარობით. ნიშნები: დენი ნულოვან სადენში 2-ჯერ მეტია ფაზურ სადენში არსებულთან, კუთხე ۱۸ და  $1\frac{1}{2}$  გეგტორებს შორის შეადგენს 60°.

### **3.2. სამფაზა მრიცხველების ჩართვის სქემების შემოწმება მოქმედ მინაერთზე 220/380 ვ ბაბვის ელექტროდანადგარებში**

შემოწმების მიზანია, მოცემულ მინაერთზე მოხმარებული ელექტროენერგიის სრულად აღრიცხვის შემოწმება.

შემოწმება ხორციელდება შემდეგი ხელსაწყოების და ინსტრუმენტების გამოყენებით:


- დენის მზომი მარტუხები;
- კალკულიატორი;
- ფაზის მაჩვენებელი;
- ერთპოლუსა და ორპოლუსა ძაბვის მაჩვენებელი ხელსაწყო;
- დამტვირთავი მოწყობილობა;
- წამსაზომი;
- სახრანისები იზოლირებული ტარით და დეროთი;
- აგრეთვე გამოიყენება ვოლტამპერფაზოგებრი და სხვა ხელსაწყოები.

წამსაზომი გამოიყენება დისკოს ბრუნვის ან იმპულსების პერიოდის გაფლის დროის გაზომვისათვის.

დენის მზომი მარტუხები გამოიყენება დენების გაზომვისათვის.

ფაზის მაჩვენებელი გამოიყენება მრიცხველის მომჭერთა ხუნდებზე ფაზების პირდაპირი მიმდევრობის შემოწმების მიზნით.

დამტვირთავი მოწყობილობა განკუთვნილია მრიცხველების ჩართვის სქემების შესამოწმებლად ცალფაზა დატვირთვის მოკლე ხნით მიწოდების გზით. იგი შედგება იზოლირებული სახლურისა და დამტვირთავი ელემენტისაგან დამცავი გარსაცმით, რომლებიც თავსდებიან ინსტრუმენტების ჩანთაში. დამტვირთავის ელექტრული პრინციპიალური სქემა მოყვანილია ნახ. № 1.



ნახ. № 1 დამტვირთავი მოწყობილობა

**HL1** – ინდიკატორის ნათურა (ИИ-90); **R1** – რეზისტორი (1 მომ); **R2** – ტენსიონი (220ვ, 2ვტ); **S1** – ღილაგური ტიპის ამომრთველი (10ა); **X1** – „გრაკადილის“ ტიპის მომჭერი; **X** – დენგამტარი ღერო.

ნათურა **HL1** განკუთვნილია ელექტროდანადგარის დენგამტარ ნაწილებზე ძაბვის არსებობის (არ არსებობის) ინდიკაციისათვის. ქსელიდან **S1** ღილაკის საშუალებით ხდება **R2** დატვირთვის ელემენტის ჩართვა (გამორთვა).

დამტვირთავი მოწყობილობის გამოყენების წესი:

1. გამოვრთოთ დატვირთვა დაგრწმუნდეთ მრიცხველის თვითსვლის არ არსებობაში;
2. მივაერთოთ **X1** მომჭერი ელექტროდანადგარის დამიწებულ კორპუსზე;
3. იზოლირებული სახელურის საკონტაქტო **X** ნაწილი დგება ელექტროდანადგარის დენგამტარ ნაწილზე. **HL1** ინდიკატორის ნათებით ვრწმუნდებით ძაბვის არსებობაში;
4. მოკლე ხნით დავაჭიროთ **S1** ღილაკს, ამავდროულად უნდა დავაკირდეთ მრიცხველის დისკოს ბრუნვას ან იმპულსებს. დისკოს ბრუნვის ან იმპულსების არ არსებობა მიუთითებს მიერთების სქემის დარღვევებზე.
5. აუშევთ **S1** ღილაკი. დენგამტარი ნაწილიდან მოგხსნათ იზოლირებული სახელურის საკონტაქტო ნაწილი. მოგხსნათ **X1** მომჭერი. ჩავრთოთ დატვირთვა.

დამტვირთავ მოწყობილობაზე ვრცელდება ტექნიკური მოთხოვნები „დაცვის საშუალებების გამოყენებისა და გამოცდის წესები“, რომელიც წაეკენება ძაბვის მაჩვენებლებს და ინსტრუმენტს იზოლირებული სახელურებით (ტარებით).

აკრძალულია დამტვირთავი მოწყობილობის გამოყენება ბურუსის, წვიმის, ჰაერის 100%-თან მიადლოვებული ტენიანობის დროს. ყოველი გამოყენების წინ დამტვირთავი მოწყობილობა უნდა დათვალიერდეს. შენახვისა და გადატანის დროს დამტვირთავი მოწყობილობა უნდა დავიცვათ დატენიანებისა და დაჭუქებისაგან.

მრიცხველების ჩართვის სქემის შემოწმება გამოსაცდელი კოლოფის საშუალებით. ელექტროდანადგარების მოწყობის წესების (ПУЭ) თანახმად გათვალისწინებულია გამოსაცდელი კოლოფების დაყენება ელექტროენერგიის მრიცხველების შემოწმებისა და შეცვლისათვის.

მრიცხველის ჩართვის სქემის შემოწმება სრულდება ძაბვის ქვეშ ბრიგადის მიერ ორი კაცის შემადგენლობით. ძირითადი დამცავი საშუალების სახით იყენებენ სახრახნისს იზოლირებული ტარით და

დეროთი. დამატებითი დამცავი საშუალების სახით იყენებენ რეზინის ხალიჩას ან დიგლექტრიკულ კალოშებს. შემოწმება ხდება დატვირთვის არსებობისას.

**შემოწმების თანმიმდევრობა:**

1. იხსნება დუქი და ხუფი გამოსაცდელი კოლოფიდან;
2. მოწმდება სამივე ფაზაში ძაბვის არსებობა როგორც ფაზებს შორის, ისე ფაზასა და ნულოვან სადენს შორის;
3. მოწმდება ძაბვის არსებობა დენურ წრედებში. ძაბვის არსებობა დენურ წრედებში მიუთითებს დენის ტრანსფორმატორის დაზიანებაზე;
4. სახრახნის დახმარებით გამოსაცდელ კოლოფში ზღუდარებით მოკლდება დენური წრედები. ამ დროს დისკოს ბრუნვა ან იმპულსების ციმციმი იკლებს;
5. ძაბვის წრედების საკონტაქტო ზღუდარებზე ეშვება ხრახნები პეტდება ხილული წყვეტა და იხსნება ძაბვა მრიცხველიდან.

მრიცხველის ჩართვის სქემის შემოწმება ხორციელდება მრიცხველის გამზომ ელემენტზე შესაბამისი ფაზის ძაბვისა და დენის რიცხვიგობით მიწოდებით. დისკოს ბრუნვა პირდაპირი მიმართულებით ან იმპულსების ციმციმი მიუთითებს მრიცხველის, დენის ტრანსფორმატორის და აღრიცხვის წრედებით გამართულობაზე, მაგარმ არ იძლევა სრულ დაჯერებულობას სქემის ჩართვის სისტორეზე.

მრიცხველების მიერ წამსახომის საშუალებით გაზომილი აქტიური სიმძლავრე (ვტ) და რეაქტიული სიმძლავრე (ვარ) იანგარიშება ფორმულებით:

$$P_{\text{მ}} = \frac{3600n}{At} \times 1000; \quad Q_{\text{მ}} = \frac{3600n}{At} \times 1000$$

სადაც  $n$  - არის ბრუნვათა (იმპულსების) რაოდენობა ათვლილი  $t$  (წმ) დროის განმავლობაში;

A - მრიცხველის გადაცემის რიცხვია, რომელიც მითითებულია მის დაფაზე.

ბრუნვათა (იმპულსების) რაოდენობას აითვლიან:

ინდუქციური მრიცხველებისათვის - მრიცხველის დისკოზე ჭდის (ნიშანის) გავლისას;

ელექტრონულისათვის - ტელემეტრიული გამოსახვლალი ინდიკატორის შექდიოდის ციმციმით (ნათებით);

მრიცხველზე მიწოდებული სიმძლავრის გაზომვა. მრიცხველის დენურ წრედებში დენის გაზომვას ახორციელებნ დენის მზომი მარწეუებით 25 მა-დან 5 ა-მდე და  $5 \div 500$  ა-მდე დიაპაზონში.

ვიცით რა ძაბვის, დენისა და cosφ-ის მნიშვნელობა ვანგარიშობთ მრიცხველზე მიწოდებულ სიმძლავრეს შემდეგი ფორმულებით:

$$P_{\text{მ}} = U_{\text{ა}} I_{\text{ა}} \cos\varphi - \text{ცალფაზა } \text{მრიცხველისათვის};$$

$$P_{\text{მ}} = \sqrt{3} U_{\text{ა}} I_{\text{ა}} \cos\varphi - \text{სამფაზა } \text{მრიცხველისათვის}.$$

შევადარებთ რა მრიცხველზე მიწოდებულ სიმძლავრეს და მის მიერ გაზომილს, შეგვიძლია საორიენტაციოდ შევაფასოთ მრიცხველის ჩართვისა და მისი მუშაობის სისტორე.

### 3.3. სამფაზა მრიცხველის საკონტროლო შემოწმება ადგილზე

მრიცხველის გაუმართაობა შეიძლება უეცრად წარმოიშვას მკვეთრად არახელსაყრელი ზემოქმედებების გავლენით. მათ შეიძლება მიეკუთხოს დარტყმები და რეეგები, ხანგრძლივი გადატვირთვები, მინაერთზე მოკლე ჩართვები, საკომუტაციო და ჭექა-ჭეხილის მიერ გამოწვეული გადაბაბები.

მრიცხველი ასევე თანდათანობით შეიძლება გადავიდეს გაუმართავ მდგომარეობაში დამოწმების პერიოდებს შორის ვადის გასვლამდე.

მრიცხველის ყველა გაუმართაობას ჩვეულებრივ მივევარო შემდეგ შედგებამდე: მოძრავი სისტემის გაჩერება (ინდუქციური მრიცხველებისათვის), ცდომილების გაზრდა, მთვლელი მექანიზმის არასწორი მუშაობა, თვითსვლა.

მრიცხველის საკონტროლო შემოწმების დროს ძაბვების არსებობა ყველა ფაზაზე უნდა შევამოწმოთ მრიცხველის მომჭერებზე და დენის მნიშვნელობები მიმდევრობით გრაგნილებში. შემდეგ უნდა გადავიდოთ ვექტორული დიაგრამა. თუ ყველა გაზომების შედეგად არ გამოვლინდა უწესივრობის მიზეზი მაშინ ის უნდა ვეძებოთ მრიცხველის გაუმართაობაში.

თუ არის ეჭვი მრიცხველის დიდ ცდომილებაზე, მაშინ აუცილებელია მოვახდინოთ მისი საკონტროლო შემოწმება დადგმის ადგილზე.

სამფაზა მრიცხველების შემოწმება ადგილზე ყოველთვის ხდება მზომი ტრანსფორმატორების გარეშე. ამისათვის სანიმუშო ხელსაწყოები უნდა ჩაირთოს დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების მეორად

წრედებში. შემოწმება შეიძლება განვახორციელოთ ვატმეტრისა და წამსაზომის მეთოდით ან სანიმუშო მრიცხველოთან შედარების მეთოდით.


სანიმუშო მრიცხველის გამოყენება ყოველთვის უმჯობესია, რადგანაც ამ დროს დატვირთვის ცვალებადობა არ აისახება შემოწმების შედეგებზე, მაგრამ სანიმუშო მრიცხველის უქონლობის გამო თითქმის ყოველთვის გამოიყენება ვატმეტრისა და წამსაზომის მეთოდი, რომლის დროსაც ვატმეტრისა და წამსაზომის ჩვენებების მიხედვით უნდა განვსაზღვროთ ელექტროენერგიის რეალური მნიშვნელობა, რომელიც იწვევს მრიცხველის დისკოს ბრუნვას მოცემული ბრუნვათა რაოდენობით ან მრიცხველის მანათობელ ინდიკატორზე მოცემული იმპულსების რაოდენობას და შევადაროთ მრიცხველის მიერ გაზომილი ენერგიის მნიშვნელობას (მრიცხველის ნომინალური მუდმივას გათვალისწინებით). შემოწმებამდე შესამოწმებელი მრიცხველის სიზუსტის კლასიდან გამომდინარე შესაბამისად შერჩეული უნდა იყოს სიზუსტის კლასის მიხედვით სანიმუშო ხელსაწყოები. სტანდარტების (ГОСТ 14767-69) ძირითადი მოთხოვნების თანა-ხმად სანიმუშო ხელსაწყოებმა ელექტროენერგიის გაზომვა უნდა უზრუნველყონ ცდომილებით, რომელიც არ აჭარბებს შესამოწმებელი მრიცხველის დასაშვები ცდომილების  $\frac{1}{4}$ -ს. ასე მაგალითად 1,0 სიზუსტის კლასის მრიცხველისათვის ელექტროენერგიის განსაზღვრის ცდომილება უნდა იყოს არა უმცეს  $\frac{1}{4} = 0,25\%$ . ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ცდომილება წარმოადგენს ყველა ენერგიის გამზომი სანიმუშო ხელსაწყოს ჯამურ ცდომილებას, ანუ ერთი ან ორი ვატმეტრის და წამსაზომის.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დატვირთვა იცვლება უმნიშვნელოდ ( $\pm 5\%$ ). დატვირთვა არ უნდა იყოს 10%-ზე ნაკლები ნომინალურისა. თუ ეს პირობები შეუსრულებადია მაშინ მრიცხველი უნდა მოიხსნას და შემოწმდეს ლაბორატორიულ პირობებში.

მრიცხველების საკონტროლო შემოწმებისათვის აუცილებელია გვჭრნდეს წამსაზომი და სანიმუშო 0,1 სიზუსტის კლასის სამფაზა ან ცალფაზა ვატმეტრები. 0,1 სიზუსტის კლასის ვატმეტრებით შესაძლებელია შევამოწმოთ 1,0 და უფრო დაბალი სიზუსტის კლასის მრიცხველები. ამ დროს მეტროლოგიური მოთხოვნები დაცული იქნება. ხანდახან შეიძლება ჩაირთოს ორი ამპერმეტრი და ორი ან სამი გოლტმეტრი.

მრიცხველების საკონტროლო შემოწმების დროს ხელსაწყოების ჩართვის სქემა მოყვანილია ნახ. 1-ზე.

ისინი უნდა ჩაირთოს ან გადასახვლელი მომჭერების კოლოფში ან მომჭერთა შემკრებზე.



ნახ. 1. მზომი ხელსაწყოებს ჩართვის სქემა  
მრიცხველის საკონტროლო შემოწმებისათვის

გაზომვამდე უნდა ვიანგარიშოთ მრიცხველის მუდმივა  $C$  ფორმულით

$$C = \frac{3600 \times 1000}{A},$$

სადაც  $A$ -არის მრიცხველის გადაცემის რიცხვი, რომელიც მოთითებულია მრიცხველის დაფაზე (მაგალითად 1 კვტ  $\times$  სთ = 450 ბრუნვა ან იმპულსი);

და ვატმეტრის დანაყოფის ფასი  $C_w$  ფორმულით:

$$C_w = I_w \times U_w / n_w,$$

სადაც  $I_w$ ,  $U_w$  - არის ვატმეტრის გაზომვის ზღვრები დენისა და ძაბვის მიხედვით;  $n_w$ -კი სკალის დანაყოფის ფასია.

შემოწმებას ასრულებს ორი კაცი. ერთი წამსაზომის საშუალებით აითვლის მოცემულ ბრუნვათა (იმპულსების) რაოდენობას და განსაზღვრაგს  $t$  დროს (წმ). ჩვეულებრივ ბრუნვათა (იმპულსების) რაოდენობას იდგენ 20 –ის ჯერადს ან ისეთს, რომ გაზომვის დრო არ იყოს 1 (ერთ) წუთზე ნაკლები. მეორე დროის თანაბარი ინტერვალების განმავლობაში აფიქსირებს და იწერს ვატმეტრების ჩვენებებს (არა უმცირესი 10 გაზომვისა). ამ გაზომვების მონაცემების მიხედვით განისაზღვრება ვატმეტრების ჩვენებების საშუალო არითმეტიკული, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განვსაზღვროთ დატვირთვის საშუალო ჯამური სიმძლავრე

$$P_{\text{საშ.}} = (P_{1\text{საშ.}} + P_{2\text{საშ.}}) \times C_w.$$

შემდეგ განვარიშობთ ნორმალურ დროს

$$t_b = C N / P_{\text{საშ.}}$$

მრიცხველის ნორმალური დრო  $t_b$  (წმ) - ეს არის დრო, რომლის განმავლობაშიც მრიცხველი შეასრულებდა მოცემულ ბრუნვათა (იმპულსების) რაოდენობას ცდომილების არ არსებობის დროს.

ვიცით რა ნორმალური დრო და ფაქტიური  $t$  დრო შეგვიძლია განვსაზღვროთ მრიცხველის ცდომილება ფორმულით

$$\Delta\% = [(t_b - t) / t_b] \times 100\%.$$

მაგალითი. განვსაზღვროთ 1,0 სიზუსტის კლასის მრიცხველის ცდომილება, რომლის ნომინალური პარამეტრებია  $3 \times 5\alpha; 3 \times 100\beta; 1 \text{ კვტ} \times 1\text{ სთ} = 2500$  დისკოს ბრუნვას. საკონტროლო ვატმეტრის გაზომვის ზღვრებია 150 გ, 5ა; სკალის დანაყოფის ფასი 150. მრიცხველის დისკომ გააკეთა 20 ბრუნვა 98,4 წმ-ში. ამ დროის განმავლობაში ხელსაწყოების საშუალო მაჩვენებელი სკალის დანაყოფებზე არის  $P_{1\text{საშ.}} = 23; P_{2\text{საშ.}} = 38; I_1 = I_2 = 2,2 \text{ ა; } U = 100 \text{ ვ}$ .

განვარიშობთ მრიცხველის მუდმივას

$$C = (1000 \times 3600) / 2500 = 1440 \text{ (ვატ} \times \text{წმ}) / \text{ბრუნვი.}$$

ვატმეტრის დანაყოფის ფასია

$$C_w = (5 \times 150) / 150 = 5 \text{ ვატ/დანაყ.}$$

დატვირთვის საშუალო სიმძლავრე იქნება

$$P_{\text{საშ.}} = (23 + 38) \times 5 = 305 \text{ ვატ.}$$

განვარიშობთ სიმძლავრის კოეფიციენტს

$$\cos\varphi = P_{\text{საშ.}} / \sqrt{3} U I = 305 / \sqrt{3} \times 100 \times 2,2 = 0,9.$$

მრიცხველის ნორმალური დრო მოცემული დატვირთვის დროს იქნება

$$t_b = (1440 \times 20) / 305 = 94,4 \text{ წმ.}$$

განვარიშობთ მრიცხველის ცდომილებას

$$\Delta\% = [(94,4 - 98,4) / 94,4] \times 100 = -4,23\%,$$

ანუ ცდომილება აჭარბებს დასაშვებს და მრიცხველი ექვემდებარება შეცვლას.

აუცილებელია გვასხოვდეს, რომ ასეთი სახით განისაზღვრება მხოლოდ მრიცხველის ცდომილება და არა ელექტროგნერგიის გაზომვის სრული ცდომილება. უპანასკნელი შეიძლება განისაზღვროს, თუ სანიმუშო ხელსაწყოები ჩართული იქნება სანიმუშო მზომი ტრანსფორმატორებით.